2014 წელი, 30 ოქტომბერი - 5 ნოემბერი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№32 (666) გამოდის 1998 წლიდან www.axaliganatleba.ge

CERN-თან თანამშრომლობის ახალი ფაზა – გრილის კლასტერი და მასშტაბური ერთობლივი პროექტები

გვერდი 9



მეცხრე არჩევითი საგანი – ახალი ინიციატივა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე

გვერდი 7

პედაგოგთა დასახმარებლად რუსული ენა ფრანგული ენა

გვერდი 4-5

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

იბეჭდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით

გვერდი 6-7

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და გაზეთ „ახალი განათლების“ მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.

კონკურსის მიზანია გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული, დღემდე შემონახული ტრადიციები, გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი შესწავლისათვის, ჩართოს ახალი თაობა მივიწყებული ტრადიციების მოძიებასა და ფიქსაციაში.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო, აგრეთვე ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. **საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა**), თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (თემისათვის, სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების მოპოვების წესებს და ბუნების სათუთი გამოყენების ჩვეულებებს.

ასეთი შეიძლება იყოს:

მიწათსარგებლობა და ტერიტორიების დაგეგმვა-გამოყენება: ტრადიციული ნაკრძალების (მაგ. ხატის ტყე) შერჩევა-გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო, მათ შორის სამიწათმოქმედო და სათიბ-საძოვარი მიწების შერჩევა, ტიპოლოგიური დანაწილება და გამოყენება, მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, რიტუალები, ჩვეულებები, ზეპირი გადმოცემები, ინსტრუმენტები.

წიაღისეულის მოპოვება: (მათ შორის მინერალები და სამკურნალო წყლები, ქვა, სხვა წიაღისეული) მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული წესები, ტექნოლოგიები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები, რიტუალები, ზეპირი გადმოცემები.

ტყის რესურსების გამოყენება: ხის ჭრა და გამოტანა, ტყის პროდუქტის შეგროვება.

წყლის რესურსების, მათ შორის სასმელი წყლის მოპოვება-გამოყენება: მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, ზეპირი გადმოცემები, რიტუალები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები.

მონადირეობა/მეთევზეობა: მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, რიტუალები, ჩვეულებები, ზეპირი გადმოცემები, ინსტრუმენტები.

სამედიცინო რესურსების მოპოვება-გამოყენება: მცენარეული, მინერალური და სხვა წამლების, მალამოების ბუნებრივი ინგრედიენტების შეგროვება-დამზადებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული წესები, ტექნოლოგიები, რიტუალები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები, ზეპირი გადმოცემები.

ბუნების მოვლენებთან (ციური მნათობები, ამინდი: გვალვა, სეტყვა, წვიმა, თოვლი, ზვავი, ქარიშხალი და ა.შ., მზის და მთვარის დაბნელება) დაკავშირებული ადათ-წესები, ზეპირი გადმოცემები, ორნამენტები, ატრიბუტები და რიტუალები.

სხვა რამ, რაც უკავშირდება ეკოლოგიასა და ბუნების დაცვას, ბუნებრივი რესურსების მოპოვება/გამოყენებას.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com ნამუშევრებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. **გადმოგზავნის ვადაა 2015 წლის 1 თებერვალი.**

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების ხელმძღვანელობით, მათ მიერ შერჩეულ ნიმუშზე შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს. შედგენილი მასალები განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების მიერ, მათი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენის მიზნით.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელითა და წოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი)*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი)*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი)
7. ნიმუშის მოკლე აღწერა

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*
- *ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსახვავებულია) სახელწოდება;*
- *ზოგადი აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;*
- *გამოყენების/შესრულების ტექნოლოგია – ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის მოპოვებისა და გამოყენების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ);*
- *ორნამენტი;*
- *შემსრულებლები (ხის მჭრელი, წიაღისეულის მომპოვებელი, მქარგავი, ექიმბაში და ა.შ), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიკირებისათვის;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ ან სამეურნეო, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალურობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის.*

სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 400- 500 სიტყვას.

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით, ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახაზის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

გვეკონტაქტეთ: **სამუშაო დღეებში (32)298-39-24 – 13სთ-დან 15სთ-მდე ან 599 08 40 03; aramaterialuri@yahoo.com**

მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი

იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში. ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის.



მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი



კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

ახალი უმაღლესი სასწავლებელი

აცხადებს კონკურსს

ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

❖ სასწავლებლის პროფესორის თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

❖ სასწავლებლის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

კონკურსი გამოცხადდეს 2014 წლის 25 ოქტომბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 25 ნოემბრიდან 2014 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. საკონკურსო მასალების განხილვა კომისიის მიერ და კონკურსის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება მოხდეს არაუგვიანეს 2014 წლის 5 დეკემბრისა; აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა.

კონკურსი გამოცხადდეს **ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე** აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:

ბიზნესის ადმინისტრირება:
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული.

სამართალი:
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული (სამართლის მეთოდების მიმართულება);
ასოცირებული პროფესორი – 5 საშტატო ერთეული (კონსტიტუციური სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, საერთაშორისო სამართლის, კერძო სამართლის და სისხლის სამართლის მიმართულება).

აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
ბ) კონკურსანტის ანკეტა (დადგენილი ფორმის მიხედვით);
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი (შესაბამის სფეროში) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
ვ) გამოქვეყნებული შრომების სია ბოლო 10 წლის განმავლობაში;
ზ) ავტობიოგრაფია CV;
თ) 1 ფოტოსურათი 3X4-ზე;
ი) შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები.

საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2014 წლის 25 ნოემბრიდან 2014 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, ახალი უმაღლესი სასწავლებლის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის მე-9 კმ, პირველი სართული.

IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აცხადებს ვაკანსიას ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად, შემდეგ დისციპლინებში:

ინფორმატიკა:
ასოცირებული პროფესორი 3 (სამი) ვაკანტური თანამდებობა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
❖ დოქტორის აკადემიური ხარისხი.
❖ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება;
❖ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

პიროვნული თვისებები:
❖ პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალი დონე;
❖ ადამიანებთან ურთიერთობის უნარი;
❖ პრეზენტაციის უნარი;
❖ პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
❖ ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების უნარი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
❖ CV-რეზიუმე;
❖ დიპლომის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი (უცხო ენაზე გაცემული დიპლომის შემთხვევაში, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
❖ პირადობის მოწმობის ასლი;
❖ 2 ფოტო;
❖ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
❖ დახასიათება წინა სამუშაო ადგილიდან;
❖ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
❖ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
❖ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაინტერესებულმა პირებმა მითითებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 24 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით (10:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე) შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცელარიაში. მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, №2, ტელ:2595005

EDUCATION FOR ALL GEORGIA

კოალიციის „განათლება ყველასათვის – საქართველო“ განცხადება

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან დაკავშირებით

კოალიციაში „განათლება ყველასათვის – საქართველო“ გაერთიანებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები მხარს ვუჭერთ განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მასწავლებელთა პროფესიის რეგულირების რეფორმის ინიციატივას.

დარწმუნებულები ვართ, რომ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა ამ რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი საფუძველს უყრის თვისობრივად ახალ, თანამედროვე და კომპლექსურ მოდელს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა მოტივირება, პროფესიული კვალიფიკაციის ზრდა, პროფესიაში ახალი, ნიჭიერი კადრების მოზიდვა და, ზოგადად, მასწავლებლის სოციალური სტატუსისა და პროფესიის იმიჯის ამაღლება.

ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი სქემა გულისხმობს სკოლის ბაზაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების მოდელის შექმნას და განვითარებას. ეს უდავოდ ხელს შეუწყობს სკოლის, როგორც ინსტიტუციის, გაძლიერებას.

ყოველივე ეს ცალსახად მნიშვნელოვანი წინაპირობაა ზოგადი განათლების ხარისხის განვითარებისათვის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისათვის. ვფიქრობთ, რომ აღნიშული რეფორმა დაგვიანებულიც კი არის და აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია მისი გადაუდებელი და შეუფერხებელი განხორციელება.

იმედს ვიტოვებთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მაღალპროფესიულ დონეზე დაიწყებს სქემის დანერგვას, რაც გულისხმობს მისი განხორციელების ჯეროვან მონიტორინგს, პერიოდულ შეფასებასა და გამოვლენილი ხარვეზების გაუმჯობესებას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ ეს პროცესი წარიმართება გამჭვირვალედ, ყველა დაინტერესებული მხარე იქნება სათანადოდ ჩართული და ინფორმირებული, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, თავად პედაგოგთა საზოგადოება და, ასევე, საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ყველა მხარეს მოვუწოდებთ გაერთიანდეს მთავარი მიზნის ირგვლივ, რომლისკენაც მიმართულია ეს ცვლილება.

კოალიციაში „განათლება ყველასათვის-საქართველო“ შემავალი ორგანიზაციები:

❖ საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია;
❖ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი;
❖ ასოციაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“;
❖ განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი;
❖ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი;
❖ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი;
❖ საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი;
❖ მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“.

პედაგოგთა დასახმარებლად

მეგი
როსტიაშვილი-წიკლაური

რუსული ენა

«ЭФФЕКТИВНЫЙ МЕТОД ОБУЧЕНИЯ РУССКОМУ ЯЗЫКУ КАК ИНОСТРАННОМУ»

დასასრული

ИНТЕНСИВНЫЕ ТЕХНОЛОГИИ ОБУЧЕНИЯ

Повышение оптимизации процесса обучения РКИ возможно при активном использовании интенсивных технологий обучения. Система заданий – это ориентированная на конкретные условия обучения оптимальная организация упражнений для формирования у заданного контингента коммуникативных умений в определенном объеме и на определенном уровне. Как известно, на выполнение упражнений и заданий для формирования автоматизированных навыков и умений часто не хватает времени. Поэтому вполне обоснованным считается мнение, согласно которому необходимо переносить этап ознакомления и предречевой тренировки на внеаудиторную самостоятельную работу, высвобождая учебное время на занятиях в аудитории для речевой практики под непосредственным управлением преподавателя. Все это требует специального распределения заданий между аудиторной и внеаудиторной работой. «Важнейшим методологическим фактором интенсивности обучения справедливо считается плотность общения на занятиях, насыщенность урока видами и формами работы…». Сюда можно отнести ряд упражнений, которые тренируют речевую активность учащихся: упражнения типа «Корзина руководителя». Специфика упражнений данного типа: работа с документами, с бланками делового письма. Такой вид работы можно использовать, изучая официально-деловое письмо. Например, в «корзину» кладут варианты некоторых заявлений президенту туристической компании (с ошибками), которые необходимо найти, исправить в соответствии с нормами официально-деловой письменной речи (нормы заранее прорабатываются). Для формирования речевых умений учащихся используются упражнения типа «Case study», т.е. «Корзина руководителя». Учащиеся, работая в группе или индивидуально, должны самостоятельно найти решение своего речевого поведения в конкретной ситуации. Для этого они должны ситуацию проанализировать, разобраться в сути проблемы, предложить все возможные решения, но выбрать лучшее из решений. Кейсы базируются на реальном фактическом материале или же приближены к реальной ситуации. Например, презентовать информацию о гостиницах своего города. Учащиеся, находясь в рамках условно-коммуникативной ролевой деятельности, анализируют рекламный материал и представляют информацию. Например, «Я хочу порекомендовать вам гостиницу «Моряк», «Мне хочется предложить вам отдых в гостинице «Амурский залив», «Ничего прекрасней, чем Камчатка летом, вы не сможете увидеть». При организации таких занятий можно использовать презентационные модули, на которых размещаются лексика, грамматика и речевые конструкции, необходимые учащимся для работы над заданиями кейсов.

«Игра – это форма деятельности в условных ситуациях, направленная на воссоздание и усвоения общественного опыта». В своей практической деятельности преподаватели РКИ часто используют ролевую игру, включая учащихся в моделируемую речевую ситуацию, которая требует от них принятия решения. Например, ролевая игра «Звонок в компанию». Для реализации игрового метода создается сценарий ролевой игры, распределяются речевые роли среди участников.

Использование подобных игровых технологий позволяет изучить особенности русского речевого этикета и правила делового письма и имеет практическое преломление в виде моделирования вариантов речевой коммуникации и выполнения разнообразных заданий, связанных с основной темой занятия. При использовании интенсивных технологий обучения наибольшее внимание должно быть уделено именно внутренней мотивации обучающихся. Важнейшими признаками современных интенсивных методик и технологий обучения является результативность (высокий уровень достижения целей каждым участником образовательного процесса), экономичность (за единицу времени усваивается больший объем учебного материала при наименьшей затрате усилий на овладение им), эргономичность (обучение происходит в обстановке сотрудничества), высокая мотивация учащихся в изучении предмета.

Объем информации и способ её презентации за определенный промежуток времени, сильно варьируется в зависимости от их индивидуальных особенностей. Существует целый ряд формальных приемов, позволяющих выявить имеющийся уровень знаний, однако опытные преподаватели «интуитивно» чувствуют настроение аудитории, ее контактность, готовность к восприятию материала и соответственно корректируют ход занятия.

Для организации самостоятельной работы и возможности самостоятельного освоения материала необходимо наличие дополнительных материалов в Интернете, позволяющих мотивировать поисковую учебную деятельность; возможность формализовать ответы учащихся с помощью алгоритмизированных упражнений и заданий. Упражнения и задания могут классифицироваться по различным показателям (способы выполнения, особенности обратной связи, развитие тех или иных видов речевой деятельности): предполагаемая однозначность ответа – вариативность ответа, работа с печатным текстом – ориентация на аудиовизуальный текст (видеоматериалы), индивидуальное выполнение заданий (определенные программные оболочки) – коллективная работа над проектом или вики-текстом, ориентация на рецептивные виды речевой деятельности, например, аудирование или чтение (подкасты) – развитие устной и письменной речи (видеоматериалы, веб-квесты), жесткая структура заданий (программы-оболочки) - свободное высказывание в письменной или устной форме (веб-страница, веб-квест). С точки зрения способов обратной связи (проверки правильности выполнения) упражнения и задания могут быть рассчитаны на анализ преподавателя или автоматически проверяться программой по определенному алгоритму (ответ в таких случаях должен быть предсказуемым и однозначным).

Тестирование результатов обучения проводится по различным параметрам, например: умение выбрать нужную стратегию чтения и обсуждения текста, определяющую выделение в тексте главной, второстепенной или актуальной для читающего информации; умение выделить фактическую информацию и комментарий к ней, позволяющий ориентироваться в общественной жизни, окружающей обстановке; умение охарактеризовать проблему, ситуацию или раскрыть тему. Основные типы текстов – сообщение, описание, публицистическая статья, диалоги бытового или социокультурного характера.

Можно использовать следующие виды тестов: проверка понимания с помощью множественного выбора, заполнение пропущенных фрагментов текста, восстановление правильного порядка следования абзацев, определение основной идеи текста на основе множественного выбора, поиск соответствий в русском тексте и в его переводе на родной язык учащихся или язык посредник.

Учащимся должны быть эксплицитно предъявлены требования к результатам учебной деятельности, а система оценок результатов работы должна быть четкой и наглядной. Преподаватель должен уметь организовывать самостоятельную работу учащихся, используя различные способы мотивации, учитывать индивидуальные особенности учащихся при распределении творческих и тренировочных заданий, контролировать ход учебной деятельности с помощью тестовых заданий.

Необходимо четкое дозирование учебного материала, последовательное выделение различных этапов работы в электронной среде. Разделение материала на этапы (например, сбор информации, организации информации по определенным параметрам, обсуждение) облегчает работу учащихся, а преподавателю позволяет осуществлять текущий контроль.

Для эффективной организации учебного процесса необходима постоянная обратная связь с учащимися (электронная почта, форумы, специальные разделы веб-страниц), что позволяет преподавателю выявить сильные и слабые стороны процесса обучения, оперативно координировать ход выполнения проекта.

При работе с информационно-коммуникационными технологиями, например с веб-проектами, а также с фильмами, мультфильмами, при частом использовании ролевых игр, приближённых к жизненным ситуациям, наблюдается преобладание рецептивных видов речевой деятельности. Как показывают наблюдения, рецептивные виды речевой деятельности предоставляют большие возможности в процессе самостоятельного изучения языка.

Важным моментом обучения является организация рефлексии учащихся с помощью самооценки, взаимной оценки с использованием анкет, таблиц самооценки. Это помогает учащимся самостоятельно выявить проблемы и трудности в изучении иностранного языка.

Будучи технологичным такое обучение, во-первых, в высокой степени гарантирует удовлетворение потребности, имеющейся в данный момент у обучаемого, и, во-вторых, определяет направление нового возникающего интереса. Другими словами, создает «зону ближайшего развития», которая становится зоной актуального развития личности и дает возможность перехода к последующему этапу обучения. Развивающая особенность такого обучения, является одним из его главных преимуществ.

КАТЕГОРИИ ЗНАНИЙ.



Игры и симуляции выводят учителя на функциональную категорию знаний, что является очень важным в процессе обучения РКИ.

ТАБЛИЦА ОПИСАНИЯ ИГРЫ ИЛИ СИМУЛЯЦИИ.

Тема	Дикая природа. Камчатка.
Уровень	ს-7 или ს-8 (11-12 классы)
Цель игры или симуляции	Коммуникативная и познавательная.
Описание активности/время	См. выше. Описание урока.
Организация	Индивидуальная работа, парная и групповая.
Пространство учителя. Инструменты.	Интернет, документальный фильм, компьютер, проектор, экран, шаблон деловых писем, наводящие вопросы, ключи, опорные слова, тестовые задания, памятки, схема оценивания.
Результат	Коммуникативные умения и навыки.
Оценка	Самооценка, взаимная оценка.
Категория знаний	Статистическая, динамическая, функциональная.
Вероятное прогнозирование возможных проблем.	Организационные проблемы, временные рамки, речевая компетенция.

ЛИТЕРАТУРА:

1. Пассов Е.И. Русское слово в методике. - СПб, МИРС, 2008.

2. Петрова Л.Г., Моисеенко «О.А. МОДУЛЬНЫЙ ПОДХОД В ОБУЧЕНИИ СПОСОБАМ ВЫРАЖЕНИЯ ЦЕЛЕВЫХ ОТНОШЕНИЙ В МЕТОДИКЕ РУССКОГО ЯЗЫКА КАК ИНОСТРАННОГО (РКИ) НА ОСНОВЕ WEB-ТЕХНОЛОГИЙ» // Современные наукоёмкие технологии. 2006, №3, стр. 47-49.

3. Щукин А.Н. Современные интенсивные методы и технологии обучения иностранным языкам. – М., 2008.

4. Ярославская Ирина Игоревна «СИСТЕМА УПРАЖНЕНИЙ И ЗАДАНИЙ ДЛЯ РАЗВИТИЯ РЕЧИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ КОМПЬЮТЕРНЫХ ТЕХНОЛОГИЙ (НАЧАЛЬНЫЙ ЭТАП)». Автореферат.

5. ეროვნული სასწავლო გეგმა.

. Интернет-сайты:

http://utopiya.spb.ru/index.php?option=com_content&view=article&id=3161:2013-06-19-13-11-28&catid=121:2013-06-17-22-53-22&Itemid=201

http://www.rae.ru/snt/?section=content&op=show_article&article_id=1746

Фильмография:

Документальный фильм «Камчатка»

http://dokpro.net/flora-fauna/706-dikaya-priroda-rossii-23-05-2014.html

პედაგოგთა დასახმარებლად

ფრანგული ენა

მაკა ნადარეიშვილი

ავთენტური მასალის გამოყენება უცხო ენის გაკვეთილზე

მოგესალმებით ძვირფასო კოლეგებო, ჩვენ წინა ნომერში შევეხეთ ავთენტური მასალის როლს უცხო ენის გაკვეთილზე. ვისაუბრეთ მისი გამოყენების მნიშვნელობაზე და, შესაბამისად, შემოგთავაზეთ ასეთი ტიპის მასალის გამოყენების ერთ-ერთი მაგალითი. ეს იყო პატრიცია კაასის სიმღერა, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს უვითარდებოდა უცხო ენის ოთხივე მიმართულება: მოსმენა, წერა, კითხვა და ლაპარაკი.

ამჯერადაც, თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ისევ ავთენტურ მასალაზე, მაგრამ შევცვალოთ მიზნები. უფრო სწორად რომ ვთქვათ, „გავაფართოვოთ“ მიზნები ან „დაბალი სააზროვნო“ უნარებიდან ეტაპობრივად გადავიდეთ „მაღალ სააზროვნო“ უნარებზე.

მიზნები დავყოთ კატეგორიებად:

ფუნქციურ ლინგვისტური მიზანი – რასაც ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევხვდებით „სწავლის-სწავლა“ მიმართულებით.

გრამატიკული ერთეულების დასწავლა/გამეორება:

- განსაზღვრებები déterminants (არტიკლი, კუთვნილებითი ზედსართავი სახელი)
- პირის მახვილიანი და უმახვილო ნაცვალსახელი pronoms personnels tonic et atone (ქვემდებარის, პირდაპირი/ირიბი დამატების)
- ზმნის აწმყო დრო (présent – მისი ფუნქცია, წარმოება და გამოყენება).

საკომუნიკაციო მიზანი:

- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ადამიანთა პიროვნული დახასიათება, თვისებითი ზედსართავი სახელის გამოყენება
- იდეომატური გამოთქმების დასწავლა
- ნაცნობი ლექსიკური მარაგის ადეკვატური გამოყენება.
- მოსმენა/გაგება. ფრანგული სიმღერის მოსმენა და ტექსტის გაგება

(მუშაობა, ამ შემთხვევაშიც, ბარათების საშუალებით მიმდინარეობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბარათები ის სტრატეგიაა, რომელიც მოსწავლეს მეტ ინტერესს აღუძრავს და ზრდის მის მოტივაციას).

მიმდინარეობა:

აქტივობა პირველი

მიზანი: განსაზღვრებების დასწავლა/გამეორება déterminants (არტიკლი, კუთვნილებითი ზედსართავი სახელი).

მოსწავლეები იმეორებენ განსაზღვრებებს. დაფაზე მასწავლებლის დახმარებით აგებენ სქემას, რომელსაც შესაძლებელია ჰქონდეს შემდეგი სახე:

Article

Défini – le, la, l' les	Indéfini – un, une, des

Pronoms possessifs

Propriétaire	objet masculin	objet féminin	Pluriel
Je	mon	ma	mes
Tu	ton	ta	tes
Il	son	sa	ses
Elle	son	sa	ses
Nous	notre	notre	nos
Vous	votre	voter	vos
Ils	leur	leur	leurs
Elles	leur	leur	leurs

ამის შემდეგ იწყება ბარათებზე მუშაობა. მოსწავლეები წყვილებში ავსებენ ბარათში მოცემულ ფრაზებს (დანართი 1). თითოეული ბარათი შემოწმების შემდეგ სწორდება. პარალელურად მასწავლებელი რწმუნდება, რომ მოსწავლეებისთვის ლექსიკური ერთეულები ნაცნობი ან/და გასაგებია. წინააღმდეგ შემთხვევაში იხსნება ლექსიკური ერთეულებიც.

დანართი 1

Carte 1 Avec …… cœur Ta, Mon, Cette	Carte 4 …… façon d'être à moi Son, Sa, Ses
Carte 2 Avec …… vie Ma, Ton, Ce	Carte 5 En écoutant …… voix Sa, Ses, Son
Carte 3 …… mots menteurs Des, Un, Ma	Carte 6 ……histoires La, Le, Ses

აქტივობა მეორე

მიზანი: პირის მახვილიანი და უმახვილო ნაცვალსახელის დასწავლა/გამეორება pronoms personnels tonic et atone (ქვემდებარის, პირდაპირი / ირიბი დამატების).

მოსწავლეები იმეორებენ პირის ნაცვალსახელებს, მათ ფუნქციებს და გამოყენებას წინადადებაში. მასწავლებელთან ერთად დაფაზე ავსებენ ცხრილს.

შევსებული ცხრილის სახე

Personne	tonic			atone
	Singulier			
	sujet	objet direct	objet indirect	
I	je	me	me	moi
II	tu	te	te	toi
III	il / elle	se, le, la	lui	lui /elle
	Pluriel			
I	nous	nous	nous	nous
II	vous	vous	vous	vous
III	ils /elle	se, les	leur	eux, elle

ამის შემდეგ იწყება ბარათებზე მუშაობა. მოსწავლეები წყვილებში ავსებენ ბარათში მოცემულ ფრაზებს (დანართი 2) თითოეული ბარათი შემოწმების შემდეგ სწორდება, პარალელურად მასწავლებელი რწმუნდება, რომ მოსწავლეებისთვის ლექსიკური ერთეულები ნაცნობი ან/და გასაგებია. წინააღმდეგ შემთხვევაში იხსნება ლექსიკური ერთეულებიც.

დანართი 2

Carte 1 Mais moi ..... crois tout ce qu'il ..... dit	Carte 4 Et ..... je le suis où ..... veut
Carte 2 Les chansons qu'il ..... chante	Carte 5 Tellement je crois tout ce qu'il ..... dit
Carte 3 Ça fait du bien quand ..... pleut	Carte 6 ..... me parle d'amour

აქტივობა მესამე

მიზანი: ზმნის აწმყო დრო (présent – მისი ფუნქცია, წარმოება და გამოყენება).

მოსწავლეები იმეორებენ პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ზმნების აწმყო დროს და მის წარმოებას. მასწავლებელთან ერთად ამზადებენ სქემას – ცხრილს.

Présent

I groupe les verbes en – ER

Je	- e	Nous	-ons
Tu	-es	Vous	-ez
Il / Elle/ On	-e	Ils / Elles	-ent

II groupe les verbes en – IR

Je	- s	Nous	iss - ons
Tu	-s	Vous	iss - ez
Il / Elle/ On	-t	Ils / Elles	iss - ent

III groupe les verbes en – IR, OIR, RE

Je	- s /x	Nous	-ons
Tu	-s/x	Vous	-ez
Il / Elle/ On	-t/d	Ils / Elles	-ent

Attention !
Vous dites, Vous faites, Vous êtes.
Ils ont, Ils sont, Ils vont, Ils font

ამის შემდეგ იწყება ბარათებზე მუშაობა. მოსწავლეები წყვილებში ავსებენ ბარათში მოცემულ ფრაზებს (დანართი 3). თითოეული ბარათი შემოწმების შემდეგ სწორდება, პარალელურად მასწავლებელი რწმუნდება, რომ მოსწავლეებისთვის ლექსიკური ერთეულები ნაცნობი ან/და გასაგებია. წინააღმდეგ შემთხვევაში იხსნება ლექსიკური ერთეულებიც

დანართი 3

Carte 1 Il ..... avec mon cœur Jouer	Dire Carte 4 Les rêves qu'il .... pour deux
Carte 2 Il ..... avec ma vie Tricher	Faire Carte 5 Il me ..... d'aventures
Carte 3 Il ..... des mots menteurs	Parler

აქტივობა მეოთხე

მიზანი: ზეპირმეტყველების განვითარება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, იდეომატური გამოთქმების გაგება, დასწავლა. ადამიანთა პიროვნული დახასიათება, თვისებითი ზედსართავი სახელის გამოყენება.

ბარათებზე მუშაობა – მოსწავლეები წყვილებში ხსნიან ბარათში მოცემულ ფრაზებს (დანართი 4). თითოეული ბარათი შემოწმების შემდეგ სწორდება, პარალელურად მასწავლებელი რწმუნდება, რომ მოსწავლეებისთვის ლექსიკური ერთეულები ნაცნობი ან/და გასაგებია. წინააღმდეგ შემთხვევაში იხსნება ლექსიკური ერთეულებიც. საუბრობენ იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი თვისებები. საუბრობენ მათ დადებით და უარყოფით თვისებებზე.

დანართი 4

Carte 1 Il joue avec mon cœur	Carte 4 C'est du pareil au même
Carte 2 Il triche avec ma vie	Carte 5 Ce film en noir et blanc
Carte 3 Il parle d'amour Comme il parle des voitures	Qu'il m'a joué deux cents fois Carte 6 J'me raconte des histoires Des scénarios Chinois

აქტივობა მეხუთე

მიზანი: მოსმენა. მოსწავლეები პირველად ისმენენ სიმღერას და საუბრობენ მის ზოგად შინაარსზე. ხოლო მეორე მოსმენისას ავსებენ სიმღერის არასრულ ტექსტს.

დანართი 5

Il ……. avec mon cœur Il triche avec ma vie il ……. des mots menteurs Mais moi je crois tout c'qu'i' m'dit Les chansons qu'il me……. Les rêves qu'il fait pour deux C'est ..... les bonbons menthe Ça fait du bien quand il pleut J'me ……. des histoires En écoutant sa voix C'est pas vrai ces .....……. mais moi j'y crois Mon ……. à moi il me parle d'aventures Et quand elles brillent dans ses yeux J'pourrais y passer la nuit Il parle d' ……. Comme il parle des voitures, Et moi je le ……. où il veut Tell'ment je crois tout c'qu'i' m'dit Tell'ment je crois tout c'qu'i' m'dit Oh oui Mon mec à moi	Sa ……. d'être à moi Sans jamais dire je t'aime C'est rien qu'du cinéma mais c'est du ……. au même Ce film en noir et blanc Qu'il m'a joué deux cents …. C'est Gabin et Morgan Enfin ça r'ssemble à tout ça J'me ……. des histoires Des scénarios Chinois C'est pas vrai ces histoires Mais moi j'y crois Mon mec à moi il me ……. d'aventures Et quand elles brillent dans ses yeux J'pourrais y passer la nuit Il parle d'amour Comme il ..…… des voitures, Et moi je le suis où il veut Tell'ment je crois tout c'qu'i' m'dit Tell'ment je …… tout c'qu'i' m'dit Oh oui Mon mec à moi

ამის შემდეგ ურიგდებათ სრული ტექსტი და კიდევ ერთხელ უსმენენ სიმღერას.

დანართი 6

Il joue avec mon cœur Il triche avec ma vie il dit des mots menteurs Mais moi je crois tout c'qu'i' m'dit Les chansons qu'il me chante Les rêves qu'il fait pour deux C'est comme les bonbons menthe Ça fait du bien quand il pleut J'me raconte des histoires En écoutant sa voix C'est pas vrai ces histoires mais moi j'y crois Mon mec à moi il me parle d'aventures Et quand elles brillent dans ses yeux J'pourrais y passer la nuit Il parle d'amour Comme il parle des voitures, Et moi je le suis où il veut Tell'ment je crois tout c'qu'i' m'dit Tell'ment je crois tout c'qu'i' m'dit Oh oui Mon mec à moi	Sa façon d'être à moi Sans jamais dire je t'aime C'est rien qu'du cinéma mais c'est du pareil au même Ce film en noir et blanc Qu'il m'a joué deux cents fois C'est Gabin et Morgan Enfin ça r'ssemble à tout ça J'me raconte des histoires Des scénarios Chinois C'est pas vrai ces histoires Mais moi j'y crois Mon mec à moi il me parle d'aventures Et quand elles brillent dans ses yeux J'pourrais y passer la nuit Il parle d'amour Comme il parle des voitures, Et moi je le suis où il veut Tell'ment je crois tout c'qu'i' m'dit Tell'ment je crois tout c'qu'i' m'dit Oh oui Mon mec à moi

საშინაო დავალება: წერითი რეპროდუქცია Quelle est la relation entre cette femme et cet homme.

საატესტატო გამოცდა

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

ისტორია

რომელი არგუმენტი გამოდგება გეორგიევსკის ტრაქტატის დადების საწინააღმდეგო პოზიციის გასამტკიცებლად?
ა. ქართლ-კახეთის სამეფოს კანონები შეუსაბამეს რუსეთის კონსტიტუციას;
ბ. ტრაქტატის თანახმად, ქართლ-კახეთში დაწესდა საეგზარქოსო;
გ. დაწესდა საგანგებო გადასახადი საიმპერატორო კარის სასარგებლოდ;
დ. ხელშეკრულების პირობები ზღუდავდა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტს.

რომელი მოსაზრება <u>არაა მართებული</u> 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზებთან დაკავშირებით?
ა. საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ აჯანყებამდე ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი შეიარაღებული გამოსვლის შესახებ;
ბ. დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების ემიგრაციაში წასვლამ ხელი შეუშალა აჯანყების მომზადებას;
გ. საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა აჯანყების მზადებასთან დაკავშირებული არაერთი პირი;
დ. აჯანყებულები შეუთანხმებლად მოქმედებდნენ.

საფრანგეთის ისტორიის რა პერიოდს ასახავს პარიზის ერთ-ერთი ქუჩის ფოტო?

ა. დე გოლის მმართველობის;
ბ. მეორე იმპერიის;
გ. პირველი რესპუბლიკის;
დ. ნაცისტური ოკუპაციის.

რომელია ნაპოლეონის ის ბრძოლა, რომლის სახელიც მარცხის სინონიმად იქცა?
ა. აუსტერლიცის;
ბ. ვერდენის;
გ. სადოვას;
დ. ვატერლოოს.

რომელი სახელმწიფოს ძლიერების ხანაა ასახული რუკაზე?

ა. სეფიანთა ირანის;
ბ. ოქროს ურდოს;
გ. ოსმალთა იმპერიის;
დ. სელჩუკთა სასულთნოს.

რა სახით შეუწყო ხელი განვითარებული მრეწველობის არსებობამ ჩრდილოეთის შტატების გამარჯვებას აშშ-ის სამოქალაქო ომში?
ა. მოხდა მრეწველობაში დასაქმებული მრავალრიცხოვანი მონების ჯარში გაწვევა;
ბ. ადვილად მოხერხდა ქვემეხებისა და თვითმფრინავების გამოშვების ორგანიზება;
გ. მრეწველობაში დასაქმებული განათლებული ფერმერები კარგი ოფიცრები გახდნენ;
დ. ჩრდილოელთა ჯარი კარგად მარაგდებოდა იარაღითა და ტყვია-წამალით.

რა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა წარმოდგენილი პლაკატი?

ა. ომში გაიმარჯვა „ანტანტამ“;
ბ. „ცივი ომი“ დამთავრდა;
გ. ფრანკოს რეჟიმი განადგურდა;
დ. სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთი მოკავშირეები არიან.

სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა ტამპლიერთა ორდენის განადგურება?
ა. იერუსალიმის სამეფოს დაცემამ;
ბ. ორდენის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდამ;
გ. ჯვაროსნული ლაშქრობების შეწყვეტამ;
დ. რეფორმაციის დროს პროტესტანტებთან დაპირისპირებამ.

რა მოვლენას ეძღვნება პოლიტიკური შარჟი?



ა. სოციალისტური ბანაკის დაშლას;
ბ. საერთაშორისო განიარაღებას;
გ. გლობალიზაციას;
დ. ცივ ომს.

რაში მდგომარეობს პოლიტიკური შარჟის იდეა?

ა. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის მიუხედავად, სახელმწიფოები მაინც მეტოქეებად რჩებიან;
ბ. ყველა არსებული ტოტალიტარული რეჟიმი მუდმივად ერთმანეთის მოკავშირეა;
გ. კომუნიზმი და ნაციზმი ერთი და იმავე იდეოლოგიის ორი კონკრეტული გამოვლინებაა;
დ. მიუნხენის შეთანხმების პირობებმა ძველი მტრები აიძულა მცირე ხნით შერიგებულიყვნენ.

ვისი მეფობის დროინდელი საქართველოს სამეფოა ასახული რუკაზე?

ა. ბაგრატ III-ის;
ბ. ალექსანდრე V-ის;
გ. თამარის;
დ. დავით III-ის.

ჩამოთვლილთაგან ვინ მიეკუთვნებოდა თერგდალეულებს?
ა. ნოე ჟორდანია;
ბ. ფილიპე მახარაძე;
გ. ნიკო ნიკოლაძე;
დ. გრიგოლ ორბელიანი.

რომელ საერთაშორისო ორგანიზაციაში <u>არ მიიღეს</u> საქართველო 1920 წელს?
ა. ანტანტაში;
ბ. ერთა ლიგაში;
გ. თავისუფალ ერთა კავშირში;
დ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

რა ფაქტი მიუთითებს გიორგი V-ის დროს საქართველოს გავლენისა და ავტორიტეტის ზრდაზე?
ა. საქართველოს ეკლესიამ მსოფლიო საპატრიარქოთა დიპტიხტში მესამე ადგილი დაიკავა;
ბ. ქართველებს დაუბრუნდათ მუსლიმთა მიერ მიტაცებული იერუსალიმის ჯვრის მონასტერი;
გ. რომის პაპმა საქართველოს მეფეს მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა შესთავაზა;
დ. საქართველომ შეძლო ოსმალთაგან მიტაცებული ტაო-კლარჯეთის დაბრუნება.

სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა ბერძნული კოლონიზაცია?
ა. კონფლიქტებმა პოლისებში;
ბ. საერთაშორისო ვაჭრობის დაკნინებამ;
გ. სპარსელთა შემოსევებმა;
დ. მონოთეისტური კულტის გავრცელებამ.

საატესტატო გამოცდა

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

მათემატიკა

ამოცანა 1
პურის ფასი შემცირდა 2-ჯერ. რამდენი პროცენტით შემცირებულა ფასი?
ა) 75%-ით
ბ) 40%-ით
გ) 20%-ით
დ) 50%-ით

სწორი პასუხია: დ)

ამოცანა 2
ნინომ ნამცხვრის გამოსაცხობად შაქარი და ფქვილი უნდა აიღოს 2:3 პროპორციით. რამდენი გრამი შაქარი არის საჭირო ნამცხვრის გამოსაცხობად, თუ შაქრის და ფქვილის მასა ერთად 1კგ-ია?
ა) 400
ბ) 200
გ) 300
დ) 500

სწორი პასუხია: ა)

ამოცანა 3 5 ქულა

$$\frac{ab^2 - ba^2}{ab} =$$

ა) 0
ბ) a – b
გ) b – a
დ) 1

სწორი პასუხია: გ)

ამოცანა 4
მოცემულია 10 რიცხვი. პირველი 6 რიცხვის საშუალო არითმეტიკულია 4, ხოლო დანარჩენი 4 რიცხვის საშუალო არითმეტიკულია 6. იპოვეთ მოცემული 10 რიცხვის საშუალო არითმეტიკული.
ა) 5
ბ) 4
გ) 6
დ) 4,8

სწორი პასუხია: დ)

ამოცანა 5
გაამარტივეთ გამოსახულება
$\sqrt{48} - 2\sqrt{27} + 3\sqrt{12}$
ა) $\sqrt{3}$
ბ) $4\sqrt{3}$
გ) 3
დ) 0

სწორი პასუხია: ბ)

ამოცანა 6
იპოვეთ $|a-2| + |2-a|$, თუ $a \in (0; 2)$.
ა) 0
ბ) 2a – 4
გ) 4
დ) 4 – 2a

სწორი პასუხია: დ)

ამოცანა 7
რას უდრის $y = 3 \sin x - 1$ ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა?
ა) 1
ბ) 3
გ) 2
დ) 4

სწორი პასუხია: გ)

ამოცანა 8
ავზი ორი მილით 4 საათში ივსება, მხოლოდ პირველი მილით კი – 7 საათში. რამდენ საათში გაივსება ავზი მხოლოდ მეორე მილით?
ა) 28/3 საათში
ბ) 4 საათში
გ) 3 საათში
დ) 7/4 საათში

სწორი პასუხია: ა)

ამოცანა 9
ვთქვათ $f(x) = 3x - 2$, მაშინ
ა) $f(x + 1) = 3x + 1$
ბ) $f(x + 1) = 3x$
გ) $f(x + 1) = 3x - 1$
დ) $f(x + 1) = 3x - 3$

სწორი პასუხია: ა)

ამოცანა 10
მოცემული სამკუთხედის ფართობის რა ნაწილს შეადგენს იმ სამკუთხედის ფართობი, რომელიც მისი შუახაზითაა მოჭრილი?
ა) 1/2
ბ) 1/4
გ) 1/3
დ) 1/8

სწორი პასუხია: ბ)

ამოცანა 11
რას უდრის ამოზნექილი ხუთკუთხედის შიგა კუთხეთა ჯამი?
ა) 360°
ბ) 540°
გ) 720°
დ) 270°

სწორი პასუხია: ბ)

ამოცანა 12
იპოვეთ მართკუთხა ტრაპეციის პერიმეტრი, თუ მისი მცირე ფუძე 2 სმ-ია, სიმაღლე – 2 სმ, ხოლო მახვილი კუთხე 45°-ია.
ა) $6 + 2\sqrt{2}$ სმ
ბ) $4 + 2\sqrt{2}$ სმ
გ) 6 სმ
დ) $4 + 4\sqrt{2}$ სმ

სწორი პასუხია: ა)

ამოცანა 13
მართკუთხა პარალელეპიპედის განზომილებებია 3 სმ, 5 სმ და 0,1 დმ. იპოვეთ მისი მოცულობა.
ა) 0,15 სმ^3
ბ) 1,5 სმ^3
გ) 15 სმ^3
დ) 150 სმ^3

სწორი პასუხია: გ)

ამოცანა 14
თუ ცილინდრის ღერძული კვეთა წარმოადგენს კვადრატს, რომლის გვერდი 3სმ-ია, მაშინ ამ ცილინდრის გვერდითი ზედაპირის ფართობი ტოლია
ა) 36π სმ^2
ბ) 18π სმ^2
გ) 24π სმ^2
დ) 9π სმ^2

სწორი პასუხია: დ)

ამოცანა 15
მოცემულია სალომეს მიერ უცხო ენაში მიღებული ქულების სიხშირეთა ცხრილი. იპოვეთ მონაცემთა ერთობლიობის მოდა.

ქულა	6	7	8	9	10
სიხშირე	1	4	3	0	2

ა) 6
ბ) 7
გ) 8
დ) 10

სწორი პასუხია: ბ)

ერთიანი ეროვნული გამოცდები

მეცხრე არჩევითი საგანი – ახალი ინიციატივა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე

ლალი ჯელაძე

2015 წელს არჩევითი საგნების ჩამონათვალს (დღეისათვის 8 არჩევითი საგანია) შესაძლოა მეცხრე საგანი – სამოქალაქო განათლება დაემატოს. *„ეს გახლავთ ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივა, თუმცა, გადაწყვეტილება, ბუნებრივია, არ არის მიღებული. პირველ რიგში, გადაწყვეტილება უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა მიიღონ, თუ თვლიან, რომ სავალდებულოდ გამოაცხადონ კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩარიცხვისთვის“* – აცხადებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი **მაია მიმინოშვილი**.

სამოქალაქო განათლება სავალდებულო საგანია IX- X კლასებში, ხოლო შემდეგ საფეხურებზე არჩევითია, დაბალ საფეხურებზე – სხვა საგნებთან ინტეგრირებული.

რატომ გახდა საჭირო ერთიანი ეროვნული გამოცდების არჩევითი საგნების ნუსხაში მისი შეტანა, ამის შესახებ **მაია მიმინოშვილი** კითხვას სხვაგვარად დასვამდა – *„აქამდე რატომ არ გახდა ეს გადაწყვეტილება აქტუალური?.. ჩვენ ყველანი ვთანხმდებით, რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის იმ დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბება, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა დემოკრატიული საზოგადოების შენების პროცესში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ამ საგანს სასკოლო განათლების საფეხურზე ბევრად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რის განხორციელებასაც – ვგულისხმობ დაბალ საფეხურზე სავალდებულო საგნად შემოღებას, განათლების სამინისტრო გეგმავს კიდეც – რაც მისასალმებელია“.*

ინიციატივა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ეკუთვნის. გადაწყვეტილება კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა მიიღოს. **თამარ სანიკიძე** ასეთ განმარტებას გვაძლევს: *„ამ საგნის დამატების საჭიროება და შესაძლებლობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად განვიხილეთ, რაც ნამდვილად რეალურია. ვფიქრობ, კარგია, თუკი არჩევითი საგნების ჩამონათვალი მრავალფეროვანი იქნება და აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ ის საგანი აირჩიონ, რომელიც უფრო ახლოსაა მათ მიერ არჩეულ მიმართულებასთან. ამ მიმართულებით ვმუშაობთ და მხოლოდ და მხოლოდ აბიტურიენტზე იქნება დამოკიდებული – აირჩევს თუ არა სამოქალაქო განათლებას“.*

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინფორმაციით, სამინისტრო განიხილავს სკოლებში დაბალ საფეხურზე სამოქალაქო განათლების საგნის დამატებას. *„ჩვენ დავასრულეთ ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია. მომზადდა შედარებითი ანალიზი, რომლის მიხედვითაც უნდა დავიწყოთ ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, შესაბამისად, ამ კონტექსტში მოიაზრება სამოქალაქო განათლების სწავლების დაწყება დაბალი საფეხურიდან, რადგან საგანი უფრო კარგად იყოს მიწოდებული სხვადასხვა ასაკის შესაბამისად. ზოგადად, სამოქალაქო განათლების სწავლება ძალიან კარგ როლს თამაშობს ცნობიერების ამაღლებაში და ახალგაზრდების განათლებაში“* – აცხადებს თამარ სანიკიძე.

სამინისტრო რომ სამოქალაქო განათლების დაბალ საფეხურზე სავალდებულო სწავლებას გეგმავს, ამას მაია მიმინოშვილი დადებითად აფასებს და აღნიშნავს: *„უნდა იცოდეს თუ არა მოსწავლემ პიროვნების როლი საზოგადოებაში, უნდა იცოდეს თუ არა საკუთარი უფლებები და მათი დაცვა, სხვისი უფლებები და მათი დაცვა, ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, კამათი არ ღირს“* – ამ ღირებულების ჩამოყალიბებას კი, მისივე თქმით, სწორედ საშუალო განათლების საფეხურზე უნდა შევუწყოთ ხელი.

ბუნებრივია, ინიციატივას მღელვარება და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა საზოგადოების მხრიდან, განსაკუთრებით კი აბიტურიენტების მხრიდან, რომლებიც აცხადებენ, რომ სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ასეთ სიახლეს არ უნდა იგებდნენ, რადგან, ფიქრობენ, რომ საგნის სათანადოდ მომზადებას ვერ მოასწრებენ. ამის შესახებ მინისტრმა განაცხადა, რომ *„სასწავლო წლის დაწყება არ არის პირდაპირ კავშირში იმასთან, მოასწრებენ თუ არა აბიტურიენტები ახალი არჩევითი საგნის შესაბამისად მომზადებას. მთავარია, გარკვეული დროით ადრე და მე ვფიქრობ, რომ შემდეგ ციკლამდე და შემდეგ გამოცდებამდე საკმაო დროა დარჩენილი – უნივერსიტეტები და აბიტურიენტები ჩამოყალიბდნენ, რომელ მიმართულებაზე, რომელ არჩევით საგანს მიუთითებენ. სამოქალაქო განათლებას სკოლებში ჩვეულებრივად ისევე სწავლობენ, როგორც დანარჩენ სავალდებულო საგნებს, ამიტომ, ვფიქრობ, ამ კუთხით პრობლემა არ შეექმნებათ. თუმცა არის გარკვეული პროცედურა – როგორიცაა აპრობაცია, ადაპტაცია, ტესტების გაზიარება და ა.შ. ამიტომ ყველანაირად შევეცდებით, ხელი შევუწყოთ აბიტურიენტებს, დროულად ჰქონდეთ ინფორმაცია და, შესაბამისად, იყვნენ მომზადებული გამოცდებისათვის.“*

ცენტრის ცნობით, უმაღლესმა სასწავლებლებმა დეკემბრის შუა რიცხვებამდე ანკეტა-კითხვარი უნდა წარადგინონ, სადაც უნდა დააფიქსირონ თავიანთი ნება-სურვილი სხვადასხვა საკითხებზე. *„იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასწავლებლის რომელიმე კონკრეტული ფაკულტეტი სამოქალაქო განათლებას სავალდებულოდ აირჩევს, აბიტურიენტს მისი ჩაბარება მოუწევს, თუმცა, უმაღლეს სასწავლებლებს უფლება აქვთ არა ერთი, არამედ რამდენიმე საგანი გამოაცხადონ არჩევით საგნად, ეს მათი გადასაწყვეტია* – ამბობს მაია მიმინოშვილი – *ერთი რამ გავითვალისწინოთ, აბიტურიენტს ჩასაბარებლად სჭირდება 4 გამოცდა. ეს რიცხვი არ იცვლება ამ საგნის დამატებით, ნუ დავსვამთ საკითხს ისე, რომ აბიტურიენტს რაიმე ურთულდება. ეს არ იქნება სავალდებულო, ეს იქნება, უბრალოდ, არჩევითი საგნების გამრავალფეროვნება.“*

არჩევითი საგნების ნუსხაში გაჩნდება თუ არა საგანი – „სამოქალაქო განათლება“ – გადაწყვეტილებას, ყველა შემთხვევაში, უმაღლესი სასწავლებლებიდან უნდა ველოდოთ, რადგან არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ არც ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა არ აირჩიოს ეს საგანი. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, არჩევითი საგნების ნუსხაში მეცხრე საგანი ვერ მოხვდება.

ინფორმაცია

სკოლასა და მშობელს შორის შემდგარი თანამშრომლობა

თბილისობის სკოლაში აღნიშვნა პირველი ღონისძიება იყო, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული, განათლებაზე ზრუნვის პროექტის ფარგლებში, 49-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა. იდეის ავტორები დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლები იყვნენ, მხარდამჭერი და დამხმარე კი – სკოლის დირექტორი. *„მშობელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ზოგადად, სასკოლო ცხოვრებაში. სამინისტროს ინიციატივა, რომელიც მშობელთა ჩართულობას გულისხმობს აღზრდისა და სწავლების პროცესში, მრავალმხრივ უნდა იქნეს გამოყენებული ყველა მიმართულებით. ჩვენთან უკვე შექმნილია მშობელთა კომიტეტები I-დან XII კლასების ჩათვლით და იმედი მაქვს, უფროსკლასელთა მშობლებიც ისეთივე აქტიურები იქნებიან, როგორც დაწყებითების. დღევანდელი ზეიმის ინიციატორები IV კლასის მოსწავლეთა მშობლები – **მარინა კიკნაძე** და **ვიქტორია მშვილდაძე** არიან, ძალზე იაქტიურეს **ნატა ღვთისიაშვილმა, მაკა მეშველიანმა** და სხვებმა; ამ ღონისძიებით ჩვენ მხოლოდ ავამუშავეთ პროექტი. იმედია, მომავალში უფრო საქმიან, საინტერესო იდეებს შემოგვთავაზებენ მშობლები, რომელთა განხორციელებასაც ყოველთვის სიამოვნებით დავუჭერთ მხარს“*, – ამბობს სკოლის დირექტორი **ეკატერინე ცაავა**.

ღონისძიება რომ თბილისობას ეძღვნებოდა, ეს სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა. შემოდგომის ფერებით საზეიმოდ მორთული კიბეები და დერეფანი, რომელიც ეზოში გადის და სადაც ღონისძიება ჩატარდა, მონაწილეებითა და სტუმრებით იყო სავსე, შემოდგომის ნობათით დატვირთული პატარ-პატარა მაგიდები, თათარა, ჩურჩხელები, ხილი, ყვავილები, რაც თბილისობის დღესასწაულს თან ახლავს, მუსიკა, პატარების მღელვარება... სკოლაში შვიდი ინკლუზიური მოსწავლეა. ტრადიციისამებრ, არც ამ დღემ ჩაიარა მათ გარეშე, თანატოლებმა განსაკუთრებული მზრუნველობით შემოიყვანეს ისინი ეზოში. მშობლებთან ერთად დაწყებითი კლასების დამრიგებლის როლიც უნდა აღინიშნოს ზეიმის ჩატარების საქმეში. **ია ჯიქიამ**, **მაია ნებიერიძემ**, **ნინო ძამიაშვილმა**, **ლია მანძულაშვილმა**, **ლეილა კიკნაძემ** მოკლე დროში მოამზადეს მოსწავლეები ამ დღისათვის. ღონისძიების მსვლელობისა და შედეგის მიხედვითაც კარგად გამოჩნდა მშობელთა ჩართულობის ხარისხიცა და სიკეთეც – მონაწილე ბავშვებმა (100-ზე მეტი) შესანიშნავად გაართვეს თავი ყველა დავალებას – ყურძნის დაწურვიდან დაწყებული, ცეკვა-სიმღერითა და დეკლამატორობით დამთავრებული, რაშიც უდავოდ დიდია მუსიკის პედაგოგის (III კლასის დამრიგებელიცაა), **მაია ნებიერიძის** დამსახურება. ქართველი კომპოზიტორების სიმღერები მშვენივრად შეასრულეს: **მარიამ და თორნიკე ღიბრაძეებმა**, **სანდრო დოლიძემ**, **მინდია მოსაშვილმა**, **ლიზა ჯავახიძემ**, **ნიტა გალდავამ**, **ლევან გოროზიამ** და სხვებმა; შესრულდა „ქართული“, „აჭარული“, „რაჭული“, „ხევსურული“ ცეკვები.

მშობელთა მიერ მომზადებულ პირველ ღონისძიებას სტუმრებიც ჰყავდა: თბილისის 131-ე სკოლის დირექტორის მოადგილე **მეგი როსტიაშვილი**, 139-ე სკოლის დირექტორი **ქეთევან ტურაშვილი** და რესურსცენტრის წარმომადგენელი **თინათინ გურამიშვილი**.

განათლებაზე ზრუნვა ნებისმიერი მშობლის მთავარი ამოცანაა, რომლის წარმატებით განხორციელებას, პირველ რიგში, სკოლამ უნდა შეუწყოს ხელი. პროექტის მიზანიც ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა, რომელიც მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა. 49-ე სკოლაში ჩატარებული ღონისძიება სკოლასა და მშობელს შორის შემდგარი თანამშრომლობის კარგი მაგალითია, რასაც საბოლოოდ აუცილებლად მოჰყვება სასურველი შედეგი.

მარიკა ბენიძე

ხორნაბუჯმა პირველობა არავის დაუთმო

დედოფლისწყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ინტელექტუალური კონკურსის „ყველაზე ჭკვიანი“ მორიგი სეზონი დაიწყო. ამჯერად კონკურსში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს №1, №2, სამრეკლოს, ხორნაბუჯის და ვახტანგ გორგასლის სახელობის ახალი სკოლის მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეები. თითოეული მათგანი ზეპირი გამოკითხვის შედეგად შეარჩია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგმა **თამარ ლაპიაშვილმა**.

კონკურსი სამი ტურის შედეგებით შეფასდა, ხოლო ამის შემდეგ გაიმართა გუნდის კაპიტნებს შორის ინდივიდუალური შეჯიბრება.

კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, გაიმარჯვა ხორნაბუჯის „შევარდენის“ გუნდმა და პირველი ადგილი დაიკავა.

მეორე ადგილს დასჯერდა №1 საჯარო სკოლის გუნდი „არწივები“, მესამე ადგილზე გავიდა №2 საჯარო სკოლის გუნდი „კურდღლები“, მეოთხეზე – სამრეკლოს „მერცხლები“, მეხუთე ადგილი წილად ხვდა ახალი სკოლის გუნდს „სამება“.

ინდივიდუალურ კონკურსში ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ №1 საჯარო სკოლის „არწივის“ და ხორნაბუჯის გუნდ „შევარდენის“ მეოთხეკლასელები, თუმცა, საბოლოო გამარჯვება აქაც ხორნაბუჯის „შევარდენის“ მონაწილე **სალომე ნასრაშვილს** ხვდა წილად.

კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორს **ირმა ბენაშვილს**. არ შეიძლება არ აღინიშნოს ყოფილი დირექტორის **თამარ ბაღაშვილის** განსაკუთრებული ღვაწლი, სწორედ მან შექმნა „სასწავლო კომპიუტერული ცენტრი“ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეასწავლა კომპიუტერი, რადგან დღეს მის გარეშე სრულფასოვანი ცოდნის მიღება წარმოუდგენელია.

მარიკა პოპპიაშვილი

გაკვეთილი მუზეუმში

ქართველ მწერალთა ცის კაბადონს ბევრი საინტერესო შემოქმედი ამშვენებს, მათ შორის ერთ-ერთი დავით კლდიაშვილია. მისი „სამანიშვილის დედინაცვალით“ იწყება XII კლასის ქათრული ენისა და ლიტერატურის კურსი.

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ სოჩხეთის XII კლასის მოსწავლეთა ინიციატივით გადაწყდა, რომ გაკვეთილი, რომლის თემა იყო „დავით კლდიაშვილის იმერეთი“, მწერლის მუზეუმში ჩაეტარებინათ. 27 სექტემბერს XII-კლასელები, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ **ნინა გოტიაშვილის** ხელმძღვანელობით, გაემგზავრნენ სიმონეთში, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში, მათ თან ახლდა უცხო ენის მასწავლებელი **ნინო გორგიძე**.

გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეები ადგილზე გაცნობოდნენ მწერლის ცხოვრების დეტალებს და დაეთვალიერებინათ ის ადგილები, სადაც შედევრები იქმნებოდა.

მწერლის ეზოს, სახლს, ყოველ ნივთს მზრუნველი ხელი ეტყობოდა. მუზეუმს ბრწყინვალე პიროვნება, მზრუნველი ადამიანი ჰყავს დირექტორად – ბატონი **ტარიელ ფუტკარაძე**, რომელმაც არაჩვეულებრივი მასპინძლობა გაუწია მოსწავლეებს, თვითონ იკისრა გიდის მოვალეობა და მოსწავლეთა თვალწინ კინოკადრებივით ენაცვლებოდა ერთმანეთს მწერლის ცხოვრების ეპიზოდები.

გაკვეთილს შესავალი გაუკეთა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნინა გოტიაშვილმა. მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა მოსწავლე **მარიამ სირბილაძემ**, შემოქმედებაზე – **დავით დარსაძემ** და **თამრიკო არსენიძემ**. **იმედა მინდიაშვილის** პრეზენტაციის თემა იყო – დავით კლდიაშვილის დროინდელი და დღევანდელი იმერეთი.

გაკვეთილმა საინტერესოდ და შემოქმედებითად ჩაიარა. მოსწავლეები ინტერესითა და დამაჯერებლად გადმოსცემდნენ დავით კლდიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებს, მოჰყავდათ ციტატები მისი ნაწარმოებებიდან. მათ ამომწურავი ცოდნა მიიღეს საგაკვეთილო თემის ირგვლივ, მუზეუმში ჩატარებული გაკვეთილი მათთვის დაუვიწყარი იქნება.

შთაბეჭდილებითა და ემოციებით აღსავსე მოსწავლეებმა დატოვეს მუზეუმი.

ნინო გორგიძე
სოჩხეთის საჯარო სკოლის უცხო ენის მასწავლებელი

კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ გამოცხადდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იწყებს კალიგრაფიის კონკურსს, სახელწოდებით: „ქართული კალიგრაფია“. ამ თემაზე ბრიფინგი მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა **ბუბა კუდავამ** გამართეს.

პროექტის საბოლოო მიზანია საქართველოში ხელნაწერი წიგნის შექმნის კულტურის აღორძინება, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის – ქართული დამწერლობის და ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაცია და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა.

ქართულ კალიგრაფიულ სკოლას საუკუნეების ტრადიცია აქვს. ხელით გადაწერილი წიგნი ადრეულ საუკუნეებშივე იქცა კულტურულ და ეროვნულ ფენომენად. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამწიგნობრო კერებში საუკუნეთა განმავლობაში ინტენსიურად იქმნებოდა ქართული წიგნი. მონასტრებში მოღვაწე მწიგნობრების შემოქმედებითი ჯგუფები, ქმნიდნენ რა ხელნაწერ წიგნებს, განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ქართული ანბანის გრაფიკულ მოხაზულობას, წიგნის შესამკობად გამოყენებულ მოხატულ ასოებსა და სხვა დეკორატიულ ელემენტებს, რომელთა მრავალფეროვნებაში მჟღავნდებოდა ცალკეული წიგნის შემქმნელის ინდივიდუალურობა.

ჩვენს რეალობაში ხელით წერის უძველესი მაღალმხატვრული ტრადიცია ნაკლებად ცნობილი და წახალისებულია. დღეს ბევრი ვერ ხვდება რაში შეიძლება გამოიყენოს დახვეწილი კალიგრაფია. მაშინ როცა, ხელით შესრულებული ნამუშევრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, საკმაოდ ფასობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ბმული: http://mes.gov.ge/content.php?id=5399&lang=geo

მეცნიერება

CERN-თან თანამშრომლობის ახალი ფაზა – გრიდის კლასტერი და მასშტაბური ერთობლივი პროექტები

ლალი ჯელაძე

CERN-ის ბირთვული კვლევების საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიოში უმსხვილეს სამეცნიერო პროექტს წარმოადგენს, რომლის ასოცირებულ წევრად ჩვენი ქვეყნის გახდომის საკითხი განიხილება. ცერნის გენერალურმა დირექტორმა **როლფ ჰოიერმა** და ცერნის სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელმა **სერხიო ბერტოლუჩიმ** საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი, იტალიაში, ქალაქ ტრიესტეში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ საქართველოს შანსი, გახდეს ცერნის ასოცირებული წევრი, ძალიან მაღალია. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს ასოცირებული წევრობის საკითხზე აქტიური მოლაპარაკებები რამდენიმე თვის წინ დაიწყო, როდესაც მინისტრი **თამარ სანიკიძე** ცერნში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

ასოცირებული წევრობის შემთხვევაში, საქართველო ცერნის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობას შეძლებს, რაც ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებაში დიდ წვლილს შეიტანს. საერთაშორისო ასპარეზზე გზას გაუხნის ქართველ მათემატიკოსებს, ფიზიკოსებს, ინჟინრებს, IT სპეციალისტებს. ასოცირებული წევრობა ეს არის კოლაბორაციის ახალი ფაზა, რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს არა მარტო გაზარდოს იმ მეცნიერთა კვოტა, რომლებიც ცერნში მუშაობენ, არამედ კვლევებში მონაწილეობის მისაღებად უფრო მეტი ახალგაზრდა მეცნიერი და დოქტორანტი მიავლინოს, ამავდროულად, მონაწილეობა მიიღოს იმ გრანდიოზულ პროექტებში, რომელსაც ცერნი ახორციელებს.

ასოცირებულ წევრად გახდომამდე კი ცერნი მხარს უჭერს სხვადასხვა ერთობლივი პროექტების განხორციელებას, როგორიცაა: ატლასის დეტექტორის კვანძების დამზადების შესაძლებლობა, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროექტებისა და გრიდის კლასტერის განვითარება საქართველოში; ასევე, ქართველ მეცნიერთა და მასწავლებელთა სტაჟირება ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში, აუტისტი ბავშვებისათვის ადრონიდული თერაპიის პროექტების შემუშავება და სხვ.

ცერნისა და ქართული მხარის თანამშრომლობა მნიშვნელოვან ფაზაში შევიდა. საქართველოში ცერნის ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ, რომლებმაც არაერთი შეხვედრა გამართეს ქართულ მხარესთან. 24 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი** ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ. შეხვედრის მთავარი თემა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე გრიდის (კომპიუტერული ქსელის) კლასტერის დაფუძნება იყო, რაც ამავდროულად, ცერნის ერთ-ერთი გამოთვლითი რესურსი იქნება საქართველოში.

CERN-ის წარმომადგენლები თბილისში გრიდ და ქლაუდ (Grid & Cloud) ტექნოლოგიების საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში იმყოფებოდნენ. მათ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები უკვე გამართეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან და შეთანხმდნენ, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, ოთხი მასშტაბური ერთობლივი პროექტი განხორციელდება.

თამარ სანიკიძე: *„ძალიან კარგად ვითარდება ურთიერთობები სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და CERN-ის ერთ-ერთ პროექტს შორის, ამჯერად განვიხილავთ IT მიმართულებას. ორი წლით გაგრძელდა თანამშრომლობა და ამისთვის მათ ოთხი სამუშაო პაკეტი მიიღეს, რომელთა განხორციელებაში უშუალოდ ჩვენი დოქტორანტი სტუდენტები ჩაერთვებიან. ისინი იქ წავლენ, იმუშავებენ, მოემზადებიან და შემდეგ დაბრუნდებიან საქართველოში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ჩვენ ვაპირებთ გრიდის სისტემების განვითარებას საქართველოში და ამასთან დაკავშირებით CERN-თან მოლაპარაკებები დავიწყეთ. გეგმა, რომელიც უკვე შემუშავდა გრიდის სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით, აუცილებლად საჭიროებს კვალიფიციურ სპეციალისტებს. ამიტომ ეს პროექტები წინაპირობაა იმისა, რომ შემდეგში უფრო მასშტაბური პროექტი განხორციელდეს წარმატებულად.“*

არჩილ ფრანგიშვილი: *„დღეს შედგა საბოლოო მოლაპარაკება გრიდის კლასტერის დაფუძნებასთან დაკავშირებით. ის ამოცანები, რომლებიც საქართველოში ვერ წყდება, შეიძლება კლასტერის მეშვეობთ გადაწყდეს. გრიდის კლასტერი ინფორმაციის დიდი ბაზების სწრაფად დამუშავებას უზრუნველყოფს.*

გარდა ამ პროექტისა, კიდევ ორ პროექტს მოეწერა ხელი ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით – ჩვენ, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, მივიღეთ ცერნის დაკვეთა და ორი წლის განმავლობაში ოთხი ახალი პაკეტი უნდა მოვამზადოთ, ეს ძალიან სერიოზული დაკვეთაა და ნიშნავს, რომ ჩვენი IT სპეციალისტები აღიარებულები არიან ცერნში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი თანამშრომლობა მანქანათმშენებლობის მიმართულებით. ერთი თვის წინ ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, საქართველოში ძალიან სერიოზული დანადგარები უნდა დავამზადოთ; დღეს კიდევ ერთი დაკვეთა მივიღეთ ისევ მანქანათმშენებლობის მიმართულებით. ასე რომ, სამი სერიოზული სიახლეა ჩვენსა და CERN-ს *შორის“.*

უკვე 5 წელია, რაც ტექნიკური უნივერსიტეტი, ცერნისთვის, IT მიმართულებით, სხვადასხვა შეკვეთას ასრულებს. როგორც უკვე გითხარით, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით კიდევ ოთხი მასშტაბური ერთობლივი პროექტი განხორციელდება.

„IT მიმართულებით ოთხი მასშტაბური პროექტი სხვადასხვა პაკეტებს მოიცავს, რომლებიც სჭირდება CERN-ს – ბირთვულ ამაჩქარებელს, ეს არის იმიტაციური მოდელირების პაკეტები, როგორც თავად დანადგარების სიმულაციებით, ასევე, პროცესის სიმულაციით. ეს არის ოთხი უსერიოზულესი პაკეტი. ამ პროექტებში საქართველოდან ჩართულია 10 სტუდენტი, ტექნიკურ უნივერსიტეტში არის ბირთვული ინჟინერიის ცენტრი, სადაც ისინი მუშაობენ. სტუდენტები, ამავდროულად, ჩვენი თანამშრომლებიც არიან, შესაბამისად, იღებენ ხელფასს. გარდა იმისა, რომ სტუდენტები მუშაობენ ამ პაკეტებზე, შემდეგ გადიან შესაბამის სტაჟირებას CERN-ში, იცავენ სამაგისტრო დიპლომებს, ახლა უკვე გირში სადოქტორო თემებია შესული.

მათი რიცხვი აუცილებლად გაფართოვდება, ანუ რაც მეტი დაკვეთა გვექნება, მით უფრო მეტი სტუდენტი ჩაერთვება პროცესში. IT პაკეტებს აფინანსებს ტექნიკური უნივერსიტეტი, ყოველწიურად 100 ათას ლარზე მეტია გამოყოფილი ამ მიმართულებით, წელს დაფინანსება კიდევ უფრო გაიზრდება და, დაახლოებით, 150 ათასი ლარი გახდება – ეს თანხები მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტების ხელფასებზე მიდის. CERN-ისგან დაკვეთა ნიშნავს, რომ სტუდენტი თავისი საქმიანობით უახლეს ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება პროგრამულ პაკეტებს – საბაზისო პაკეტებს, რა თქმა უნდა, მას CERN-ისგან ვიღებთ.

კლასტერის შემთხვევაში, რასაკვირველია, საუბარია უახლეს ტექნოლოგიებზე, აპარატურაზე, ამაში კი გვეხმარება განათლების სამინისტრო. სპეციალურად ამისთვის გამოყოფილია სახსრები, ჩვენ უნდა ვისაუბროთ არა მარტო ტექნოლოგიებზე, არამედ შენობაზე, სადაც ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს – თანამედროვე კლასტერის გაკეთება საქართველოში ნიშნავს ძალიან სერიოზულ გაერთიანებაში ჩართვას, რასაც ჰქვია გრიდ გაერთიანება – ინტერნეტ საზოგადოებაში ჩართვა – მხოლოდ და მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ხვედრია.

CERN-ის ასოცირებული წევრი რომ გახდეს, საქართველომ უნდა გადაიხადოს თანხა, მაგრამ ის მხოლოდ მაშინ შეძლებს გადახდას, თუ ეყოლება კადრები, რომლებიც იმუშავებენ მათ პრობლემატიკაზე. ბუნებრივია, ყველას დააინტერესებს, თუ რა სარგებელს იღებს ჩვენი ქვეყანა? სარგებელი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაა, ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება იმუშაონ უახლეს ტექნოლოგიებთან, ერთვებიან იმ კვლევებში, რასაც ვერ ნახავენ CERN-ის გარეშე. ეს საერთაშორისო პროექტია და შვეიცარიის გარდა, უამრავი ქვეყანაა ჩართული. ყველას თავისი წვლილი შეაქვს, აქ საუბარი არ არის მხოლოდ ფიზიკაზე, საუბარია სამედიცინო მიმართულებაზეც, ქმნიან ახალ სამედიცინო აპარატურას, სრულიად განსხვავებული მიმართულებებია“ – განაცხადა **არჩილ ფრანგიშვილმა.**

საქართველო რომ CERN-ის ასოცირებული წევრი გახდეს, ამისთვის ფული მეათეხარისხოვანია, ამბობს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი: *„მთავარია, გვაქვს თუ არა ჩვენ ის ადამიანური რესურსი, რომლითაც შეიძლება შევიდეთ ამ საქმეში. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ამის რესურსი გვაქვს – ბრწყინვალე ფიზიკოსებიც გვყავს, რომლებიც CERN-ში მუშაობენ, მანქანათმშენებლობის სპეციალისტებიც – ინჟინრებიც გვყავს, ვინც ახლა ასრულებს CERN-ის დაკვეთას, გვყავს ინფორმატიკოსებიც, რომლებიც ასევე ასრულებენ CERN-ის ამოცანებს.*

CERN-თან ჩვენ დაახლოებით ხუთი წელია ვთანამშრომლობთ და ვასრულებთ დაკვეთებს IT მიმართულებით, ახალია მანქანათმშენებლობა, ახალია კლასტერი, რაზეც ვისაუბრეთ. დაახლოებით ნახევარი წელი დაგვჭირდება იმისთვის, რომ თავიდან ბოლომდე გაინეროს პროექტი, ეს ძალიან რთული საქმეა, ეს არ არის რამის ყიდვა და მოტანა, ამას მთელი ინფრასტრუქტურის შექმნა სჭირდება, ნახევარ წელიწადში CERN-თან ერთად ამ პროექტს გავაკეთებთ.“

გრიდის კლასტერის დაფუძნება მარტო შესაბამისი ტექნოლოგიის ყიდვას არ ნიშნავს და მას სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა სჭირდება. თანხების დიდ ნაწილს განათლების სამინიტრო დაფარავს, რა თქმა უნდა, დაეხმარება ტექნიკური უნივერსიტეტიც. CERN კი ამაში არა ფულს, არამედ ინტელექტს ჩადებს და ქართულ მხარეს საშუალებას მისცემს, გრიდის გლობალურ ქსელში ჩაერთოს.

გრიდის კლასტერი ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე კეთდება, მას მოემსახურებიან გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სპეციალისტები, ჩაერთვებიან სხვადასხვა ორგანიზაციები, მაგრამ თვითონ ამ ბაზასთან წვდომის შესაძლებლობა ექნება ყველას. *„ყველა ექიმს შეუძლია გააკეთოს თავისი განაცხადი, მოემსახურებიან მას და მისცემენ სრულ ინფორმაციას – ანუ მან უნდა გააკეთოს დაკვეთა. როგორც ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება ეს ორ ნაწილად გაიყოს – კომერციულად და არაკომერციულად. მაგალითად, ჯანდაცვა იქნება არაკომერციული ნაწილი“.*

იმ მიმართულებებს შორის, რომელსაც ეს სუპერ-კომპიუტინგი დაფარავს, ერთ-ერთი იქნება ბუნებრივი კატაკლიზმების შესახებ ინფორმაცია. *„როდესაც ვსაუბრობთ ბუნებრივ კატაკლიზმებზე, მეწყერებზე და ა.შ., რაც შეიძლება მეტი სენსორი უნდა გვქონდეს, რომ ინფორმაცია ავიღოთ. ეს ნიშნავს დიდი მოცულობის ინფორმაციას, რომელიც დროულად უნდა ავიღოთ, დროულად გადავამუშაოთ და გავატაროთ შესაბამისი ღონისძიებები. ასე რომ, წინ ძალიან სერიოზული პერსპექტივებია – არა მხოლოდ ფიზიკა ან მათემატიკა, არამედ გლობალური ამოცანები“* – აცხადებს არჩილ ფრანგიშვილი.

შეხვედრაზე CERN-ის მეცნიერებმა მზაობა გამოთქვეს, რომ ადგილობრივ პროფესიონალებს გრიდის კლასტერის შექმნაში დაეხმარებიან.

თვალსაზრისი

სახელმძღვანელოების 9-თვიანი განათხოვრების წლისთავზე

2013 წლის 8 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განაცხადა: მე და ჩემი გუნდი 5 თვის განმავლობაში ვმუშაობდით... მთელ საქართველოს ვულოცავ, რომ 2013-14 სასწავლო წლიდან სახელმძღვანელოები გახდება უფასო; ამის შედეგად სხვადასხვა თანხა /100-დან 200-ლარამდე/ მშობლებს დაეზოგებათ და მიეცემათ შესაძლებლობა სხვა რამისთვის გამოიყენონ.

რა არის ამაში სიმართლე და რა ტყუილი? იქიდან დავიწყოთ, რომ წინა ხელისუფლებამ ახალი ხელისუფლების განათლების სისტემას, უამრავ მანკიერებასთან ერთად, დაუტოვა ერთადერთი მანათობელი წერტილი: სახელმძღვანელოები, ავტორები და გამომცემლობები. ეს ერთიანი სამსახოვანი სისტემა იმიტომ შემორჩა მანათობელ წერტილად, რომ ის არ იყო დამოკიდებული:

– გამოცდების ახალ უვარგის მოდელზე;
– სტანდარტიზებულ ტესტირებაზე – უცოდინართა გამოცდაზე;
– მისაღები გამოცდების აბსურდულ ნუსხაზე;
– ხელოვნურად მოგონილ ზოგადუნარებიან გამოცდაზე;
– ფოკუსურ, ალტერნატიულ საგნების ნუსხაზე;
– აბიტურიენტთა ჩართვაზე ყველა უმაღლესი სასწავლებლის ერთიან საერთო კონკურსში;
– ინგლისურენოვანი მასწავლებლების სკოლებში შემოყვანაზე;
– სადამსჯელო ღონისძიება-მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე;
– მინისტრების არაპროფესიონალიზმზე და ა.შ.

ხომ გაგიგონიათ, „ადამიანმა ტყეში ხე ვერ შენიშნაო“, ყოფილ მინისტრსაც იგივე მოუვიდა. ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა მრავალი მანკიერების იგნორირებით, მინისტრობის პერიოდში ერთადერთი აქტი განახორციელა და ამით მაინც და მაინც იმ ერთადერთ მანათობელ წერტილს მიადგა და სახელმძღვანელოების უფასოდ, 9-თვიანი, მრავალჯერადი განათხოვრებით ჩააქრო იგი.

ადრე სახელმძღვანელოები უფასოდ, არა დროებითი სარგებლობისათვის, გადაეცემოდა სოციალურად დაუცველებს, დევნილებს, მრავალშვიალიანი ოჯახების შვილებს; მასწავლებლები უფასოდ ღებულობდნენ სარეკომენდაციო წიგნებს.

ვინ დარჩა? ღმერთმა ნუ ქნას, არავინ დარჩეს. რა თქმა უნდა, დარჩა. დარჩნენ ისინი, ვისაც ეკონომიკურად შეუძლიათ ახალ სასწავლო წელს ახალი სახელმძღვანელოებით გაახარონ საკუთარი შვილები (და არა ძველი, მრავალგზის ნახმარი, გაცვეთილი, ჰიგიენურად მიუღებელი წიგნებით უარყოფითი ემოციებით დაამძიმონ პატარები). სწორედ ასეთი ოჯახების ხარჯზე გამოიცემოდა ახალ-ახალი, გაუმჯობესებული სახელმძღვანელოები.

გამომცემლობების არსებობას, ძირითადად, განაპირობებს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემებიდან მიღებული მოგება. ამის ნათელი მაგალითია ბოლო 10 წლის განმავლობაში მრავალი გამომცემლობის შექმნა, მათ შორის ჯანსაღი კონკურენცია და, აქედან გამომდინარე, მაღალი პოლიგრაფიული დონის და მხატვრული გაფორმების შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურა; ამაღლდა წიგნის გამოცემის კულტურა, რომელმაც შექმნა წიგნების ბუმი – მეორადების მაღაზიები წიგნის მაღაზიებად გადაკეთდნენ; დაიკლო წიგნების ფასმა; საზოგადოება მიუბრუნდა წიგნს, წიგნი მივიდა მკითხველთან.

მოგეხსენებათ, სწავლების მეთოდიკა საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, ვითარდებოდა და იხვეწებოდა. ეს პროცესი მარადიულია.

სახელმძღვანელოების ავტორები, უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ამ მარადიული პროცესის წარმმართველები, დიდაქტიკოსები (დიდაქტიკური პრინციპითაა აგებული სახელმძღვანელოები. ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა კლასებში, სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა დოზით, სპირალისებურადაა განხილული).

ავტორები სახელმძღვანელოების წინასიტყვაობებში მიმართავდნენ მოსწავლეებს: „...არ დაღონდეთ, გააგრძელეთ მუშაობა, ამავე საკითხს სახელმძღვანელოში კვლავ არაერთხელ შეხვდებით“.

ახალი თემის შესწავლასთან დაკავშირებით, ნებისმიერი კლასის ნებისმიერი საგნის ავტორი ყოველთვის მიანიშნებს: გაიხსენეთ, გაიმეორეთ გასულ წლებში ნასწავლი სახელმძღვანელოებიდან. ყოველი ახალი თემა წინა წლებში შესწავლილი საკითხების გადახედვა-გამეორებას, შესწავლას მოითხოვს.

მასწავლებელმა ახალი თემა რომ გადასცეს, აუცილებლად სჭირდება წინა კლასების სახელმძღვანელო, რომ გაიგოს, რა დონეზე და რა დოზით იყო მოცემული თემა შესწავლილი. შესაბამისად, გეგმავს შესასწავლ თუ გასამეორებელ აქტივობებს. მოსწავლეებსაც აუცილებლად სჭირდებათ წინა კლასის სახელმძღვანელოების გამოყენება გამეორებისათვის.

სამწუხაროდ, დღეს დამკვიდრებული სახელმძღვანელოებით, სარგებლობის წესებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს არა აქვთ შესაძლებლობა, იქონიონ სახელმძღვანელოები, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებისათვის.

განათლების სამინისტრო ბრჭყალებით ებღაუჭება სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის, ვარგისიანობის კონტროლს. ეს უკანასკნელი იმდენად გამკაცრებულია, რომ ცნობილ ზღაპარს ემსგავსება. მოსწავლე, სახელმძღვანელოების მდგომარეობის შესახებ, სასწავლო წლის განმავლობაში, რამდენჯერმე აბარებს პატაკს დამრიგებელს; ის კი, თავის მხრივ – დირექტორს, დირექტორი – რესურსცენტრს, რესურსცენტრი – განათლების სამინისტროს, განათლების სამინისტრო – ხელისუფალთ, ხელისუფალნი კი – პიარს, პიარი უბრუნდებათ მოსწავლეებს...

განათლების სამინისტრო ახლა იმითაა დაკავებული, რომ დროის მოცემულ მომენტში ზუსტად იცოდეს, საქართველოს რომელი სკოლის რომელ კლასში რამდენი წიგნია ვარგისი და უვარგისი. მიუხედავად ასეთი გამკაცრებული კონტროლისა, მიმდინარე სასწავლო წელს, წიგნების 40% შეიქმნა დასაბეჭდი. მომავალ წელს, სავარაუდოდ, 80% იქნება დასაბეჭდი და ა.შ. ეს კი ისედაც ღარიბ ქვეყანას ეკონომიკურად და ინტელექტუალურად კიდევ უფრო გააღარიბებს.

სახელმძღვანელოების ე.წ. განათხოვრებამ ახალი პრობლემები შეუქმნა სასკოლო ბიბლიოთეკებსა და დირექტორებს. წიგნსაცავებში თავს იყრის მოსწავლეებისათვის ჩამორთმეული ათასობით უვარგისი სახელმძღვანელო, რომლის შესანახი ფართები არა აქვთ.

შესაძლებელია, ამ წერილით, მკითხველის თვალში, უფასო სახელმძღვანელოების წინააღმდეგი ვჩანდე, მაგრამ... არა!

თუმცა, გასაჩუქრებასაც აქვს თავისი პრინციპები. როცა საჩუქარს უცნობისგან ღებულობ, მადლობის მეტი რა გეთქმის, მაგრამ საჩუქარი თუ მჩუქებელსაც და ადრესატსაც მხოლოდ აზარალებს, ბუნებრივია, უარი უნდა თქვა.

ამ შემთხვევაში, საჩუქართან კი არა, განათხოვრებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ყველას უფრო აზარალებს, ვიდრე ასარგებლებს. გარდა ამისა, ამ მოცემულობამ გამოიწვია:

– სახელმძღვანელოების ხარისხის გაუარესება – თხელი, სიფრიფანა ფურცლები ძნელად უძლებს ბავშვებს, ადვილად იხევა, იშლება და ა.შ.
– შეწყდა ყოველგვარი საქმიანი კავშირი პედაგოგებსა და ავტორებს შორის;
– აღარ არის ავტორებს შორის კონკურენცია, ისინი უმოქმედოდ არიან;
– შეჩერდა მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნების გაუმჯობესებაზე მუშაობა. არადა, ყველაზე უკეთესად ავტორებს შეუძლიათ ყოველწლიურად ისე გააუმჯობესონ, რომ ჩაანაცვლონ მოდად ქცეული, ძვირადღირებული ტრენინგები.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პედაგოგებმა, რომლებმაც თავის დროზე სახელმძღვანელოების სწორი არჩევანი ვერ გააკეთეს, დაკარგეს შესაძლებლობა, შეცვალონ მათთვის უფრო მისაღები და ეფექტური სახელმძღვანელოებით. რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების ხარისხზე.

მიმაჩნია, რომ ერთადერთი სწორი გზა, შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, არის უარის თქმა ამ თითქოს ძალიან შეღავათიან, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ დამანგრეველ პროექტზე.

დემურ კუხალეიშვილი
ჩხორრიის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

პროფესიონალთა კლასი

სამოცწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა

აბაშის ცენტრთან ახლოს დგას ნოღოხაშის საჯარო სკოლის (დირექტორი – **ნათელა ქობალავა**) ორსართულიანი კოპნია შენობა, სადაც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებიან პედაგოგები, რომლებიც ფლობენ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. ერთ-ერთი მათგანია ამაგდარი პედაგოგი, ქალბატონი **ციალა ღვინჯილია**, რომელსაც 17 ოქტომბერს, მოსწავლეთა და პედაგოგთა ინიციატივით, შეხვედრა მოუწყვეს.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **მერაბ მიგინეიშვილი**, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **მაკა ჩაგანავა**. ზეიმი დაიწყო სკოლასთან არსებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლის „შვიდკაცას“ მიერ შესრულებული შოთა მილორავას სიმღერით „მასწავლებელი“. შემდეგ სტუმრებს მიესალმა სკოლის დირექტორი ნათელა ქობალავა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ციალა მასწავლებლის მიერ განვლილი გზა შეახსენა.

„ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში დაბადებული და შემდგომ პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სრულიად ახალგაზრდა, განაწილებით ჩამოვიდა აბაშის რაიონში, კერძოდ, ნოღოხაშის რვაწლიან სკოლაში (ასე ეწოდებოდა მაშინ) და შეუდგა რთულ საქმეს, რასაც მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა ჰქვია. სამოცი წლის მანძილზე ამ გზაზე არასოდეს ჩაუმუხლია.

თქვენ, ციალა მასწავლებელო, შეძელით პირუთვნელად გეზიდათ მძიმე ტვირთი. რამ შეგაძლებინათ? ისევ და ისევ თქვენმა გულისხმიერებამ, ნებისყოფამ, პატიოსნებამ, ობიექტურობამ, კაცთმოყვარეობამ, დიდსულოვნებამ, სათნოებამ. 400-კომლიან სოფელში არ მეგულება ოჯახი, სადაც თქვენი აღზრდილი არ იყოს, ზოგჯერ ოჯახიდან სამ თაობასაც გაუვლია თქვენს ხელში. ამავე სოფელში აირჩიეთ ცხოვრების მეგზური, აღზარდეთ ორი შვილი – ქალბატონი დარეჯან ცომაია დღეს ჩვენი სკოლის წარმატებული მასწავლებელია, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. თქვენმა ვაჟიშვილმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა. შვილიშვილი ანა ბარკალაია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტია, წერს, გამოცემული აქვს წიგნი.

თქვენ იყავით ჩემი გზის გამკაფავი ამ სკოლაში. სრულიად ახალგაზრდა თქვენ დამაკვალიანეთ. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას გიხდით ყველაფრისათვის.“

ქალბატონ ციალა ღვინჯილიას მიესალმა ყოფილი მოსწავლე, ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი **მზია ბოკუჩავა**. *„სწორედ ამ სკოლაში სწავლისას გადავწყვიტე იმ ადამიანების პროფესია ამერჩია, ვისთანაც ურთიერთობა მიხდებოდა ყოველდღე. მინდოდა, მათ დავმსგავსებოდი, მათ კვალზე მევლო. და აი, დავბრუნდი მშობლიურ სკოლაში, მშობლიური საკლასო ოთახები, ყოველ კუნჭულში მიმალული შორს დარჩენილი ბავშვობის აჩრდილი. ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, სწორედ თქვენ მიგიძღვით ლომის წილი მასწავლებლად ჩემს ჩამოყალიბებაში“.*

შეხვედრაში მონაწილეობდნენ პირველი და მეხუთეკლასელები. მათ წაიკითხეს იოსებ ნონეშვილის ცნობილი ლექსი „მასწავლებელი“.

შთამბეჭდავი იყო მეცხრე კლასის მოსწავლის, **მარი გაბელაიას** სიტყვა: *„მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა გაწეული შრომისათვის, პედაგოგიური ერთგულებისათვის, იმ დანთებული ცეცხლისათვის, რომელიც თქვენ დატოვეთ ამ სკოლაში. მადლობა სამოცწლიანი მუხლჩაუხრელი შრომისათვის. ეს შრომა დაფასდა – თქვენი მოსწავლეები, მათი მშობლები და კიდევ მათი მშობლები თქვენ გაკვალულ გზაზე დადიან.“* – ასე დაასრულა თავისი გამოსვლა მარიმ.

ამაგდარ პედაგოგს მიესალმნენ აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **მერაბ მიგინეიშვილი** და ყოფილი მოსწავლე, ამჟამად აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **მაკა ჩაგანავა**. სკოლასთან არსებულმა პედაგოგთა ვოკალურმა ჯგუფმა „ცირა“, რომლის ხელმძღვანელია ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებელი **ნათელა მიგინეიშვილი**, შეასრულა საგალობელი „გიხაროდენ“.

შემდეგ მოსწავლეებმა საინტერესო კითხვები დაუსვეს ციალა მასწავლებელს – როგორი მოსწავლე იყავით? რომ შეიძლებოდეს თავიდან რომელ პროფესიას აირჩევდით? რას ურჩევდით დღევანდელ თაობას? ციალა მასწავლებელმა ამომწურავი პასუხი გასცა შეკითხვებს და სკოლის შესახებაც ისაუბრა: *„ნოღოხაშის საჯარო სკოლის ორსართულიანი შენობა გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენდა. მას შემდეგ არანაირი რეაბილიტაცია არ ჩატარებია. დღეს მე ვნახე ეს კოპნია შენობა რეაბილიტირებული, ყოველმხრივ გალამაზებული. სიხარულს ვერ ვმალავ. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ამაში მონაწილეობა მიიღო. ყველა სიკეთე თქვენთვის კეთდება, გამოიყენეთ ის, იყავით ბეჯითნი და მიზანდასახულნი. ეს დაგეხმარებათ სწორად იაროთ ცხოვრების გზაზე“.*

დასასრულს, სკოლის ბიბლიოთეკარმა, ღონისძიების სულისჩამდგმელმა, **იამზე გაბელაიამ** მიმართა შეკრებილებს: *„დღეს, ჩვენი სკოლის დირექციამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა მოკრძალებული შეხვედრა მოგიწყვეთ ციალა მასწავლებელო. ვეცადეთ, ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც თქვენ გეკადრებათ. გამორჩეული პატივისცემა და სიყვარული ნამდვილად დაიმსახურეთ. მადლობას გიხდით თაობების აღზრდისათვის და ჯანმრთელ, ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ“.*

ჯულიეტა მაისაია
ნოღოხაშის საჯარო სკოლის პედაგოგი

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

მითითებული კრებულის ფასი – 10

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფშიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ძელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- თეოდორ ფონტანე - **ეფი** ახალი
- **ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თ ა მ ა რ ბერაზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

გამოცემები

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტ.ტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK